საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011710528938818

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

**# 210937** **15 / მაისი / 2018 წ.**

## გადაწყვეტილება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის N158394, 2018 წლის 20 აპრილის N175840, 2018 წლის 13 აპრილის N165907 და 2018 წლის 27 აპრილის N187133 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის თაობაზე

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2018 წლის 15 მაისს წარმოდგენილ იქნა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის უფროსის ქეთევან ზაალიშვილის № 276411 სამსახურეობრივი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის N158394, 2018 წლის 20 აპრილის N175840, 2018 წლის 13 აპრილის N165907 და 2018 წლის 27 აპრილის N187133 გადაწყვეტილებებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს N 037 და არბოშიკის N 006, 015, 056, 069, 072, 073, 105, 109 საჯაროდ გამოცხადებულ სარეგისტრაციო ბლოკებში ცვლილებების შეტანა.

სააგენტომ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის N158394, 2018 წლის 20 აპრილის N175840, 2018 წლის 13 აპრილის N165907 და 2018 წლის 27 აპრილის N187133 გადაწყვეტილებებით საჯაროდ გამოქვეყნებულ არხილოსკალოს N 037 და არბოშიკის N 006, 015, 056, 069, 072, 073, 105, 109 სარეგისტრაციო ბლოკებში უნდა შევიდეს ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის N158394, 2018 წლის 20 აპრილის N175840, 2018 წლის 13 აპრილის N165907 და 2018 წლის 27 აპრილის N187133 გადაწყვეტილებებით საჯაროდ გამოქვეყნებულ სარეგისტრაციო ბლოკებში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს საჯაროდ გამოცხადებული არხილოსკალოს N 037 და არბოშიკის N 006, 015, 056, 069, 072, 073, 105, 109 სარეგისტრაციო ბლოკები.
2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის N158394, 2018 წლის 20 აპრილის N175840, 2018 წლის 13 აპრილის N165907 და 2018 წლის 27 აპრილის N187133 გადაწყვეტილებებით საჯაროდ გამოქვეყნებული სხვა სარეგისტრაციო ბლოკები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება გაეგზავნოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტსა და დედოფლისწყაროს

მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი — გიორგი გადაბაძე